ეკონომიკური ძალადობა– შეუსწავლელი პრობლემა

Saqahn Sapari

HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION

ეკონომიკური ძალადობა– შეუსწავლელი პრობლემა

მკვლევარი: ბაია პატარაია

© საფარი 2021

შინაარსი

შესავალი - 2

ეკონომიკური ძალადობის ფორმები და
შედეგები - 3

ეკონომიკური ძალადობა – საერთაშორისო
ინსტრუმენტები - 6

ეკონომიკური ძალადობა – ქვეყნების შიდა
კანონმდებლობა - 8

ეკონომიკური ძალადობა საქართველოში –
კანონმდებლობა და პრაქტიკა - 13

დასკვნა და რეკომენდაციები - 16

ბიბლიოგრაფია - 17

შესავალი

ეკონომიკური ძალადობა გენდერული და ოჯახში ძალადობის ფორმაა, თუმცა ის ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე უხილავ ფორმად რჩება[1]. ამ კვლევის მიზანია ეკონომიკური ძალადობის ფორმების, შინაარსის და იმ სამართლებრივი რეგულაციების მიმოხილვა, რომელიც ქვეყნების შიდა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ კვლევების თანახმად ეკონომიკური ძალადობა ქალებზე ხორციელდება ყველა სოციო-ეკონომიკურ დონეზე[2] და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 94-99%-ს მიემართება[3].

ეკონომიკური ძალადობა სერიოზულად აზიანებს ქალის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. რაც მთავარია, ეკონომიკური ძალადობის შედეგად, ქალი ეკონომიკურად დამოკიდებული ხდება მოძალადეზე. ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რატომაც ქალები ვერ წყვეტენ ურთიერთობას მოძალადე პარტნიორთან და რჩებიან ძალადობრივ ურთიერთობაში[4]. საინტერესოა ასევე ის გარემოება, რომ ქალთა ეკონომიკური გააქტიურება და დამოუკიდებლობა წარმოადგენს საფრთხესაც, რადგან იზრდება კაცის მხრიდან ოჯახში განხორციელებული ძალადობა ქალის დამორჩილების მიზნით[5]. შესაბამისად, საკითხი საკმაოდ კომპლექსურია.

ეკონომიკურ ძალადობას ძალიან ხშირად მიმართავენ მოძალადეები, რადგან მათთვის ეს ერთგვარი ტაქტიკაა, გააკონტროლონ მსხვერპლი და დატოვონ ის ძალადობრივ ურთიერთობაში; ამის მისაღწევად, მოძალადეები მიმართავენ მრავალ ხერხს, რათა შეინარჩუნონ კონტროლი მსხვერპლზე[6].

სწორედ ზემოთგანხილული გარემოებების გამო, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გაითვალსწინონ ეკონომიკური ძალადობის ფარული და ვერაგი ხასიათი, რათა ეფექტურად დაუპირისპირონ მას როგორც სამართლებრივი, ისე - სხვადასხვა პოლიტიკები და პროგრამები. წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკებს ამ მხრივ წინამდებარე კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკებს ამ მხრივ და გვაჩვენებს იმ ხარვაზებს, რომელიც არსებობს როგორც შიდა კანონმდებლობაში, ისე - საერთაშორისო ინსტრუმენტებში.

აღნიშნული კვლევით კიდევ ერთხელ მტკიცდება, თუ რაოდენ შეუსწავლელია ეკონომიკური ძალადობის რთული ფენომენი და რა მწირია ის სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია განვითარებული. ეკონომიკური ძალადობა ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ითვლება გენდერული და ოჯახში ძალადობის ცალკე ფორმად და არ არსებობს მისი წინააღმდეგ ბრძოლის გამართული მექანიზმები.

---

[1] Dan Anderberg and Helmut Rainer, Economic Abuse: A Theory of Intrahousehold Sabotage, 6 September 2012, p. 3.

[2] NCADV, Economic Abuse, p. 1, see at: http://www.mmgconnect.com/projects/userfiles/-file/dce-stop_now/ncadv_economic_abuse_fact_sheet.pdf

[3] Berkley Economic Review, Economic Abuse, April 2, 2019, see at: https://econreview.berkeley.edu/economic-abuse/

[4] Domestic Violence against Women and Girls, UNICEF, Innocenti Research Center, No . 6 - J u n e 2 0 0 0, p. 8, see at: https://ww-w.unicef-irc.org/publications/213-domestic-violence-against-women-and-girls.html

[5] Ibid.

[6] Sarah Davidge and Lizzie Magnusson, The Economics of Abuse, Women's Aid 2019, p. 4, see at: https://1q7dqy2unor827bq-jls0c4rn-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/2019/12/Economics-of-Abuse-Report-2019.pdf

ეკონომიკური ძალადობის ფორმები და შედეგები

ეკონომიკურ ძალადობას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ძალადობას ხშირად განიხილავენ, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას, მკვლევარები მაინც გამოყოფენ საინტერესო ტენდენციებს, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკური ძალადობისათვის. მაგალითად, კვლევებში აღმოჩნდა, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები მეტად განიცდიან ეკონომიკურ ძალადობას, ხოლო სტუდენტები – ნაკლებად, რადგან ისინი, როგორც წესი, არ ცხოვრობენ პარტნიორებთან ერთად, შესაბამისად, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას და არც მუშაობენ.[7] ასევე, იგივე კვლევის საინტერესო მიგნებაა, რომ ქალები, რომლებიც პარტნიორზე მეტს გამოიმუშავებენ, უფრო ხშირად ხდებიან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი, განსაკუთრებით – ტრადიციული და არაეგალიტარული ღირებულებების მქონე ოჯახებში.[8]

კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ძალადობა განქორწინების ან წყვილის განცალკევების მერეც გრძელდება და არის იძულებითი კონტროლის ერთ-ერთი სახე, რომელიც ყველაზე ხშირად მოიცავს:

- ფულის ხარჯვას მსხვერპლის პირადი ან საერთო საბანკო ანაგრიშიდან;
- გადასახადების წარმოებას მსხვერპლის სახელზე;
- საერთო საკუთრების გაყიდვის დროში გაწელვას;
- პირადი ნივთების მოპარვას ან დაზიანებას;
- მსხვერპლის დასაქმებაში ან სამსახურის შენარჩუნებაში ხელის შეშლას;
- მსხვერპლის ჩათრევას განგრძობით სასამართლო დავებში, რაც ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.[9]

ეროვნული კოალიცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (NCADV) ასევე გვთავაზობს ეკონომიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმების ჩამონათვალს, კერძოდ:[10]

- მუშაობაში ხელის შეშლა შემავიწროებელი ქცევით, როგორიცაა ხშირად დარეკვა და მოულოდნელევი ვიზიტები სამსახურში და სხვა;
- მსხვერპლისთვის ფულის არმიცემა და ფულის მოპოვებაში ხელის შეშლა იმ დონეზე, რომ მსხვერპლი სრულიად დამოკიდებული ხდება მოძალადეზე საკვებით, ტანსაცმლითა და თავშესაფრით;
- მსხვერპლისთვის მუშაობის ან სწავლის აკრძალვა, ან მისი ისეთ აქტივობაში ჩართვა, რაც შეუძლებელს ხდის მუშაობას ან სწავლას;
- საკვების, ტანსაცმლის, თავშესაფრის, პირადი ჰიგიენის საშუალებების ან წამლის მიზანმიმართულად არმიცემა;

---

[7] Francesca Bettio and Elisa Ticci, Violence Against Women and Economic Independence, 2017, p.57, see at: https://www.ugt-fica.org/imag-es/violence-report-web.pdf

[8] Ibid.

[9] Written evidence submitted by Surviving Economic Abuse (DAB70), 2020, Para 24. citing Adams, A., Greeson, M., Littwin, A. and Javorka, M. (2019) 'The Revised Scale of Economic Abuse (SEA2): Development and Initial Psychometric Testing of an Updated Measure of Economic Abuse in Intimate Relationships'. Psychology of Violence 10(3): 268–278,

[10] NCADV, Economic Abuse, p. 1, see at:
http://www.mmgconnect.com/projects/userfiles/file/dce-stop_now/ncadv_economic_abuse_fact_sheet.pdf

- მსხვერპლისთვის ფულის მოპარვა, მისი ფულის, აქტივების ან ფინანსური სახსრების თაღლითურად, პირადი მოგების მისაღებად გამოყენება ან/და ექსპლუატაცია;
- მსხვერპლის მიერ ფულის ხარჯვის გამამართლებელი მიზეზების მოკითხვა და მისი დასჯა ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობის გზით;
- მსხვერპლის პირადი საკუთრების მოპარვა ან განადგურება;
- მსხვერპლისათვის პირადი საბანკო ანგარიშის ფლობის აკრძალვა;
- სამსახურში ლგბტ პირისთვის მისი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების მუქარა;
- სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის არგადახდა;
- მსხვერპლის იძულება, აიღოს კრედიტი, შემდგეგ კი მისი საკრედიტო ისტორიის გაფუჭება და მომავალში კრედიტის აღების შესაძლებლობის მოსპობა.

ვინაიდან ეკონომიკური ძალადობის განხორციელებას არ სჭირდება ფიზიკური სიახლოვე, ის ხშირად განგრძობადია და შეიძლება, გაძლიერდეს წყვილის განცალკევების შემდეგაც და სერიოზული პრობლემები შეუქმნას მსხვერპლს, რომელიც ცდილობს ახალი ცხოვრების დაწყებას; ასევე, ხშირად მსხვერპლს მოძალადის გამო რჩება ვალები და გაფუჭებული საკრედიტო ისტორია.[11]

ამასთან, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ეკონომიკური ძალადობისთვის.

ეკონომიკური ძალადობისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს ფინანსური დამოუკიდებლობა. თუმცა, აღსანიშნავია ის სოციალური სტრუქტურებიც, რომელიც ხელს უწყობს ან ამწვავებს ეკონომიკურ ძალადობას, მათ შორისაა:[12]

- კულტურული ნორმები, კაცებისათვის მინიჭებული პრივილეგიები და სტრეოტიპები ქალების მიერ ფულის განკარგვის უნარების შესახებ;
- სისტემური ხარვეზები, სოციალური გარანტიების მოშლა, საკუთარი უფლებების დაცვაში არსებული ბარიერები, ბიუროკრატიასთან გამკლავების სირთულეები;
- გენდერული უთანასწორობა, ქალების მაღალი მოწყვლადობა ძალადობის მიმართ და მათი დაბალშემოსავლიანობა.

ეკონომიკური ძალადობის ამ ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორების გარდა, ასევე, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:[13]

---

[11] Written evidence submitted by Surviving Economic Abuse (DAB70), 2020, Para 13., para. 25. see at: https://publications.parliament.uk/pa/cm5801/cmpublic/DomesticAbuse/memo/DAB70.pdf

[12] Corrie, T. and McGuire, M. Economic Abuse: Searching for Solutions (Good Shepherd Youth & Family Service and Kildonan UnitingCare, 2013), p. iii, see at: https://www.goodshep.org.au/media/1223/economic-abuse_final-report.pdf

[13] Ibid.

- კაცების მიერ დომინირებული ძალაუფლების იერარქიის არსებობა;
- ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება არის ნორმალიზებული, ინტერნალიზებული და გაძლიერებული საზოგადოების მიერ;
- ქალებს ასწავლიან, რომ კაცებს უკეთ შეუძლიათ ფულის და ფინანსების მართვა;
- შრომით ურთიერთობებში გამოვლენილი პრობლემები: ქალებისთვის ნაკლები ანაზღაურების გადახდა; მაღალანაზღაურებად პოზიციებზე ქალების არდასაქმება; ნაკლებ შესაძლებლობა, იყვნენ დასაქმებულები სრულ განაკვეთზე; ქალის აუნაზღაურებელი ზრუნვითი საქმიანობით დატვირთულობა შინ; ქალების მრავალმხრივი დისკრიმინაცია.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ძალადობას აქვს ძალიან სერიოზული გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ემოციურ მდგომარეობაზე. ეკონომიკური ძალადობა, ისე როგორც ძალადობის სხვა ფორმები, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და თვითშეფასებაზე. გარდა იმისა, რომ ეკონომიკური ექსპლუატაცია მუდმივ სტრესში ამყოფებს ადამიანს, ის ასევე საშუალებას უსპობს ქალს, თავი დააღწიოს ძალადობრივ ურთერთობას და ხშირად ასეთი ქალი ბავშვებითურთ ეკონომიკურად დამოკიდებული ხდება სახელმწიფო პროგრამებსა და დახმარებაზე.[14]

ეკონომიკურ ძალადობას მძიმე შედეგებამდე მივყავართ და სერიოზულ კვალს ტოვებს როგორც ქალების, ასევე – ბავშვების ცხოვრებაზე. ეკონომიკური ძალადობის სავალალო შედეგებია შემდეგი:

- ეკონომიკური ძალადობა დროში გახანგრძლივებული პრობლემაა, ის ხშირად იწვევს მსხვერპლის საკრედიტო ისტორიის გაფუჭებას და გრძელდება წყვილის განცალკევების შემდეგაც (მაგალითად ალიმენტის არგადახდით). სახელმწიფო პროგრამების უმეტესობა ვერ პასუხობს ამ გამოწვევებს;
- ეკონომიკური ძალადობა ცუდად აისახება ბავშვებზე, ვინაიდან ქალზე ეკონომიკური ძალადობა შესაძლოა იწვევდეს ბავშვების გაღარიბებას და სოციალურ გარიყულობასაც კი, რადგან ისინი ვეღარ მონაწილეობენ კლასგარეშე აქტივობებში;
- ეკონომიკური ძალადობა აუცილებლად იწვევს სიღარიბეს. ქალებს ხშირად უწევთ არჩევანის გაკეთება ძალადობასა და სიღარიბეს შორის. ძალადობრივ ურთიერთობაში დარჩენას ძალადობის მსხვერპლი ქალები სწორედ ეკონომიკური ძალადობის და პრობლემების გამო არჩევენ.[15]

---

[14] Berkley Economic Review, Economic Abuse, April 2, 2019, p. 8, see at: https://econreview.berkeley.edu/economic-abuse/

[15] Corrie, T. and McGuire, M. Economic Abuse: Searching for Solutions (Good Shepherd Youth & Family Service and Kildonan UnitingCare, 2013), p. iv, see at: https://www.goodshep.org.au/media/1223/economic-abuse_final-report.pdf

ეკონომიკური ძალადობა – საერთაშორისო ინსტრუმენტები

სამართლებრივ აქტში ვხვდებით. შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივად ეს პრობლემა კარგად დამუშავებული და კანონმდებლობაში სათანადოდ ასახული არ არის. განსაკუთრებით, ეს ეხება საერთაშორისო ინსტრუმენტებს. ამ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ იმ კონვენციებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობასა და დისკრიმინაციას კრძალავენ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ე.წ. სტამბოლის კონვენცია, ორჯერ ახსენებს ეკონომიკურ ძალადობას მესამე მუხლში, სადაც განმარტებებია მოცემული. პირველ შემთხვევაში, როცა ის განმარტავს ზოგადად გენდერულ ძალადობას, ამბობს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს — საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“.[16] შესაბამისად, სტამბოლის კონვენცია ეკონომიკური ზიანის მიყენებას მოიაზრებს გენდერული ძალადობის ფორმად. იმავე მესამე მუხლში, კონვენცია ასევე განმარტავს ოჯახში ძალადობას, რაც „გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა“. აქ კონვენცია საუბრობს ეკონომიკური ძალადობის აქტებზე, რომელიც ჩადენილია ოჯახის წევრების მიმართ.

სტამბოლის კონვენციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „ეკონომიკური ზიანი“ კონვენციის მიერ შემოტანილი სიახლეა ოჯახში ძალადობის განმარტებაში და ის შესაძლებელია დავუკავშიროთ ფსიქოლოგიურ ძალადობას.[17] თუმცა, მკვლევარები სულ უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური ძალადობა ფსიქოლოგიური ძალადობისაგან დამოუკიდებელი ფორმაა და საჭიროებს ცალკე დეფინიციასა და რეგულირებას.[18]

გაეროს საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთოდ არ ახსენებს კონვენციაში სიტყვა „ძალადობას“. კონვენციის №19 ზოგადი რეკომენდაცია განმარტავს ოჯახში ძალადობას, მაგრამ ძალადობის ფორმებს შორის არც აქ ვხვდებით ეკონომიკურ ძალადობას, მხოლოდ ერთი რელევანტური წინადადება გვხვდება 1992 წლის №19 ზოგად რეკომენდაციაში, რომელიც ამბობს, რომ „ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა აიძულებს ქალებს, დარჩნენ ძალადობრივ ურთიერთობებში“.[19] აღსანიშნავია, 2017 წლის ზოგადი რეკომენდაცია №25, რომელიც

---

[16] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ევროპის საბჭო, 2011, მუხლი 3, იხილეთ: https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[17] Explanatory Reporton to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series – No. 210, 2011, para. 40. see at: https://rm.coe.int/16800d383a

[18] Sandra Milne, Susan Maury and Dr Pauline Gulliver, Economic Abuse in New Zealand: Towards an understanding and response, 2018, p. 21, see at: https://goodshepherd.org.nz/wp-content/uploads/2019/10/Economic-Abuse-in-New-Zealand-GSNZ-2018.pdf

[19] CEDAW Recommendation 19, 1992, UN, para 23., see at: https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/INT_CEDAW_GEC_3731_E.pdf

დამატებით განმარტებას აკეთებს №19 ზოგადი რეკომენდაციისას, ახსენებს „ეკონომიკურ ზიანს“, როგორც გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ფორმას და შედეგს და მოუწოდებს სახელმწიფოს, აკრძალოს გენდერული ძალადობის ყველა ფორმა.[20] „ეკონომიკური ზიანი“, როგორც ძალადობის ფორმა, ასევე აღიარებულია აფრიკის ქალთა უფლებების ოქმის მიერაც, კერძოდ, ოქმი განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც ქალის წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებას, რომელიც იწვევს ქალის ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს.[21]

გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი ეკონომიკურ ძალადობას განმარტავს, როგორც ნებისმიერ აქტს ან ქცევას, რომელიც იწვევს პარტნიორის ეკონომიკურად დაზიანებას; მას შეიძლება, ჰქონდეს ქონების დაზიანების სახე, გამოიხატებოდეს როგორც ფინანსურ რესურსებზე წვდომის, განათლების მიღებისა და დასაქმებაში ხელის შეშლაში, ან ისეთი ეკონომიკური ვალდებულებების შეუსრულებლობაში, როგორიცაა ალიმენტის არგადახდა.[22]

ეკონომიკური ძალადობის უფრო დეტალურ განმარტებებს მკვლევარები გვთავაზობენ. მაგალითად, ადამსი თავის კვლევაში განმარტავს, რომ „ეკონომიკური ძალადობა არის ქცევა, რომელიც აკონტროლებს ქალის შესაძლებლობას, მოიპოვოს, გამოიყენოს და შეინარჩუნოს ეკონომიკური რესურსები“.[23] ამავე ავტორის მიხედვით, ეკონომიკური ძალადობა მოძალადის მიერ მსხვერპლის კონტროლის მნიშვნელოვანი ხერხია. მკვლევარები აღნიშანვენ, რომ ეკონომიკურ ძალადობას აქვს მკვეთრად გამოხატული მიზანი – ხელი შეუშალოს მსხვერპლის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.[24]

გაეროს ქალთა ორგანიზაცია სახელმძღვანელოში, რომელიც ეხება ქალთა მომართ ძალადობის რეგულაციებს, აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის განსაზღვრებისას და გამოყენებისას პრაქტიკაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან მოძალადეები ზოგჯერ ბოროტად იყენებენ ამ რეგულაციებს, რათა მსხვერპლის წინააღმდეგ ამოაწერინონ დამცავი ორდერები მართლმსაჯულების სისტემას; ამ რისკის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების გენდერული მგრძნობელობა, რათა დადასტურდეს, აღნიშნული ქცევა მოიცავს თუ არა რეალური ძალადობის ნიშნებს. ამ დროს მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების, იურისტების, კონსულტანტების და სხვა სპეციალისტების ჩართულობა.

---

[20] CEDAW Recommendation 35, 2017, UN, para 14. Para. 26, see at: https://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx-?enc=6QkG1d%2fPPRiCAqhKb7yhsldCrOlUTvLRFDjh6%2fx1pWAeqJn4T68N1uqnZjLbtFua2OBKh3UEqlB%2fCyQIg86A6bUD6S2nt0Ii%2bndbh67tt1%2bO99yEEGWYpmnzM8vDxmwt

[21] Protocol to the African Charter on Human and People's Rights on the Rights of Women in Africa, 2003, Article 1 (j), see at: https://ww-w.ohchr.org/Documents/Issues/Women/WG/ProtocolontheRightsofWomen.pdf

[22] Glossary of definitions of rape, femicide and intimate partner violence, EIGE, 2017, see at: https://eige.europa.eu/publications/glossary-defi-nitions-rape-femicide-and-intimate-partner-violence

[23] Adrienne E. Adams, Cris M. Sullivan, Deborah Bybee and Megan R. Greeson, Development of the Scale of Economic Abuse, p. 568, see at: https://vaw.msu.edu/wp-content/uploads/2013/10/Scale-of-Economic-Abuse.pdf

[24] Francesca Bettio and Elisa Ticci, Violence Against Women and Economic Independence, 2017, p.57, see at: https://www.ugt-fica.org/imag-es/violence-report-web.pdf

[25] Handbook for Legislation on Violence against Women, UN Women, 2012, p. 22, see at: https://www.unwomen.org/-/media/headquar-ters/attachments/sections/library/publications/2012/12/unw_legislation-handbook%20pdf.pdf?la=en&vs=1502

ეკონომიკური ძალადობა – ქვეყნების შიდა კანონმდებლობა

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, შევეცადე, მომეძიებინა ის ქვეყნები, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგულირებენ ეკონომიკურ ძალადობას ეროვნული კანონმდებლობით. როგორც ამ კვლევიდან ირკვევა, ქვეყნების უმრავლესობა საერთოდ არ არეგულირებს ეკონომიკურ ძალადობას, როგორც ოჯახში ძალადობის ცალკე ფორმას. საკმაოდ მცირეა იმ ქვეყნების რაოდეობა, რომელიც ცდილობს ამ პრობლემის სამართლებრივ დარეგულირებას. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილავთ შემდეგი ქვეყნების შიდა რეგულაციებს: ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, ბრაზილია. ცალკე თავში იქნება განხილული საქართველოს კანონმდებლობა.

საკმაოდ საინტერესოა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ ძალადობას ინდოეთში. 2005 წელს მიღებულ კანონში, ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ ფორმად გამოყოფილია ეკონომიკური ძალადობა, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური ძალადობა მოიცავს: ა) იმ ეკონომიკური და ფინანსური რესურსების სრულ ან ნაწილობრივ წართმევას, რომელიც ეკუთვნის დაზარალებულს, ან რომელიც სჭირდება დაზარალებულს ან მის შვილებს და არის მის სრულ ან ნაწილობრივ კუთვნილებაში, მათ შორის, შიდა მეურნეობა და მისი შენახვის ხარჯები; ბ) განკარგვა ან გასხვისება უძრავი თუ მოძრავი ქონების, რომელიც ეკუთვნის სრულად ან ნაწლიობრივ, ან რომლის მოთხოვნაც შეუძლია დაზარალებულს ან მის შვილებს, ოჯახური ურთიერთობიდან გამომდინარე; გ) იმ რესურსებით სარგებლობის აკრძალვა ან შეზღუდვა, რომელიც არის საერთო მეურნეობაში ან რომლითაც სარგებლობა ეკუთვნის დაზარალებულს, ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე.[26]

აღნიშნულ კანონს პირველ დანართად ახლავს ოჯახური ინციდენტის აღმწერი ანგარიში/რეპორტი, რომელსაც ავსებს შესაბამისი მოხელე, და ამ ფორმაში ცალკეა გამოყოფილი ეკონომიკური ძალადობის ქვეთავი, სადაც ჩამოთვლილია ეკონომიკური ძალადობის შემდეგი ფორმები:[27]

- არ გაძლევს ფულს შენი და შენი შვილების სარჩენად;
- შენ და შენ შვილებს არ უზრუნველგყოფთ საკვებით, ტანსაცმლით, წამლებით და სხვა;
- გამოგასახლა სახლიდან, სადაც ცხოვრობდი;
- გიკრძალავს სახლში შესვლას და სახლის გამოყენებას სრულად ან ნაწილობრივ;
- ხელს გიშლის მუშაობაში დასაქმების ადგილას;
- არ გაძლევს დასაქმების უფლებას;
- არ იხდის ქირას, როცა ნაქირავებში ცხოვრობთ;
- არ გაძლევს საშუალებას, გამოიყენო შიდა მეურნეობის ნივთები ან ტანსაცმელი;
- გაყიდა შენი ქონება (stridhan)[28] და ძვირფასეულობა შენი ნებართვის გარეშე;

---

[26] The Protection of Women from Domestic Violence Act, 2005, art. 3, see at: https://upload.indiacode.nic.in/showfile?actid=AC_CEN_13_14_00008_200543_1517807325788&type=rule&filename=17-Oct-2006%20Rules%20Ext.pdf

[27] Ibid, Form №1.

[28] "(i) Property inherited by a women; (ii) Property obtained by her on partition; (iii) Gifts from strangers, except those made before the bridal procession, (iv) Property acquired by her by mechanical arts and Sulka," – as defined in Anjani Kant, "Women and the Law", 2008, p.339. see at: https://books.google.ge/books?id=Z-5nkRZXjPMC&pg=PA338&lpg=PA338&dq=stridhan+definition&source=bl&ots=OHZDxuWQhL&sig=ACfU3U1PcJODRGs_jrO-KAeTFGS7YoyjoA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiG_6mEzfjxAhUHGewKHVn9C1cQ6AEwD3oECA0QAw№v=onepage&q=stridhan%20definition&f=false

- ძალით გამოგართვა შენი ხელფასი ან შემოსავალი;
- გადააგდო, მოიშორა შენი ქონება (stridhan);
- არ გადაიხადა გადასახადები, როგორიცაა ელექტრო ენერგიის გადასახადი და სხვა;
- ნებისმიერი სხვა სახის ეკონომიკური ძალადობა.

აღნიშნული კანონით, მაგისტრანტ მოსამართლეს შეუძლია, გამოსცეს დამცავი ორდერი ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტთან მიმართებით და დაავალოს მოძალადეს კონკრეტული ქმედებების განხორციელება ან ამ ქმედებებისაგან თავის შეკავება. ამასთან, შუალედური მონეტარული დახმარების სახით, მოძალადეს მაგისტარნტმა მოსამართლემ ორდერით შეიძლება დაავალოს: 1) ქალისა და მისი შვილების რჩენა; 2) ფიზიკური დაზიანებების, მათ შორის სამედიცინო ხარჯებისათვის კომპენსაცია; 3) კომპენსაცია ფსიქოლოგიური წამებისათვის და ემოციური სტრესისთვის; 4) კომპენსაცია მიუღებელი შემოსავლისთვის; 5) კომპენსაცია მიღებული ზარალისთვის, რაც გამოიწვია ქონების წართმევამ, დაზიანებამ და განადგურებამ. აღნიშნულ შუალედურ მონეტარულ დახმარებაზე ორდერი გამოიცემა სასამართლოს მიერ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე.[29]

აღსანიშნავია აგრეთვე ბრაზილის კანონი, რომელიც მარია დე პენას კანონის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული კანონის მეშვიდე მუხლი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორისაა ქონებრივი (patrimonial) ძალადობა. ეს ტერმინი ეკონომიკური ძალადობის სინონიმადაც გამოიყენება. აღნიშნული კანონის მიხედვით, ქონებრივ ძალადობას წარმოადგენს ნებისმიერი ქცევა, რომელიც გულისხმობს ქალის ნივთების, სამუშაო ინსტრუმენტების, პირადი დოკუმენტების, ქონების, აქტივების, ეკონომიკური უფლებების ან ეკონომიკური რესურსების, მათ შორის ქალისთვის საჭირო ნივთების სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას, შეზღუდვას ან შემცირებას.[30]

ამავე კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, ქალის ქონების დასაცავად, მოსამართლეს შეუძლია, გამოსცეს განკარგულება და გაითვალისწინოს შემდეგი ღონისძიებები: 1) მოძალადის მიერ მსხვერპლის უკანონოდ შეზღუდული ქონების რესტიტუცია; 2) საერთო საკუთრებაში არსებული ქონების შესყიდვის, გაყიდვის და გაქირავების დროებითი აკრძალვა, გარდა სასამართლოს მიერ ავტორიზებული შემთხვევებისა; 3) მსხვერპლის მიერ მოძალადეზე გაცემული მინდობილობის შეწყვეტა; 4) მოსამართლე უფლებამოსილია, უზრუნველყოფის ზომად ბრალდებულს მოსთხოვოს სასამართლოს ანგარიშზე დეპოზიტის სახით თანხის განათავსება, ძალადობისაგან გამოწვეული ზიანისთვის.[31] ასევე, აღსანიშნავია, რომ 27-ე და 28-ე მუხლები განმარტავს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს უნდა ჰყავდეს ადვოკატი და ხელი უნდა მიუწვდებოდეს უფასო სამართლებრივ დახმარებაზე, და ეს დახმარება უნდა იყოს ჰუმანური.[32]

---

[29] Ibid, Form 4, p. 72.

[30] Maria da Penha Law, Law no 11.340, Special Secretariat for Women's Policies Presidency of the Republic of Brazil, 2006, art. 7, see at: https://evaw-global-database.unwomen.org/-/media/files/un%20-women/vaw/full%20text/americas/brazil%20-%20maria%20da%20penha%20law%20(2006).pdf?vs=2408

[31] Ibid. art 24.

[32] Ibid. art 27-28.

2021 წელს, **დიდი ბრიტანეთის** ორივე პალატა წარმატებით გაიარა ოჯახში ძალადობის კანონმა და მალე ძალაში შევა. ახალი კანონი ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს ეკონომიკურ ძალადობასაც, კერძოდ, პირველი მუხლის მეოთხე პუნქტი განმარტავს: "ეკონომიკური ძალადობაა ნებისმიერ ქცევა, რომელიც მნიშვნელოვნად ხელისშემშლელად მოქმედებს მსხვერპლის უნარზე, ა) მიიღოს, გამოიყენოს ან შეინარჩუნოს ფული ან სხვა საკუთრება; ბ) შეიძინოს საქონელი ან სერვისი".[33] აღნიშნული განმარტება გაკრიტიკებულია, რადგან შესაძლოა, ეკონომიკური ძალადობის ცალკეული შემთხვევა არ ჩაითვალოს „მნიშვნელოვნად ხელისშემშლელ" შედეგად და არ მოექცეს კანონით განსაზღვრულ ძალადობის დეფინიციაში.[34] ასევე, იყო შემოთავაზება, რომ „ნებისმიერი ქცევა" დაკონკრეტებულიყო და დამატებოდა „ეკონომიკური შეზღუდვა ან/და ექსპლუატაცია".[35]

აღნიშნული საკონომდებლო აქტი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დამცავი გაფრთხილების (domestic abuse protection notices) გაცემას, რასაც ქართულ კანონმდებლობაში შემაკავებელ ორდერს ვუწოდებთ. ამ დამცავი გაფრთხილების გაცემა შეუძლია პოლიციის უფროს ოფიცერს სრულწლოვანი პირის წინააღმდეგ, თუ პოლიციელს საფუძვლიანად მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობისაგან საჭიროა პირის დაცვა.[36]

დამცავი გაფრთხილების გაცემა შესაძლებელია შემდეგი შინაარსით: ა) აეკრძალოს კონტაქტი მსხვერპლთან; ბ) აეკრძალოს მსხვერპლის საცხოვრებელთან მიახლოება. ამასთან, თუ მსხვერპლი და მოძალადე ერთად ცხოვრობენ, გაფრთხილების დოკუმენტით შესაძლებელია: ა) მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლის გამოსახლება საცხოვრისიდან; ბ) მოძალადეს აეკრძალოს საცხოვრებელში შესვლა; გ) მოძალადეს მოსთხოვონ საცხოვრისის დატოვება.[37] დამცავი გაფრთხილების დარღვევის შემთხვევაში, პოლიციას შეუძლია, დააპატიმროს მოძალადე.[38]

აღნიშნული საკანონმდებლო პროექტის მიხედვით, დამცავი გაფრთხილების გარდა, დამცავი ორდერი, შესაძლოა, გამოსცეს სასამართლომ, მათ შორის, როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის, ასევე - პოლიციელის მოთხოვნის საფუძველზე, ან უშუალოდ სასამართლოს ინიციატივით და მსხვერპლის თანხმობა საჭირო არ არის, თუმცა მის პოზიციას მოისმენს სასამართლო.[39] დამცავი ორდერის საშუალებით, მოძალადეს

---

[33] Domestic Abuse Bill, as amended by in public bill committee, UK parliament, 2021, see at: https://publications.parliament.uk/pa/bills/c-bill/58-01/0141/HCB141%20Domestic%20Abuse%20compare.pdf

[34] Written evidence submitted by Surviving Economic Abuse (DAB70), 2020, Para 20. see at: https://publications.parliament.uk/pa/cm5801/cmpublic/DomesticAbuse/memo/DAB70.pdf

[35] Ibid. para. 22.

[36] Domestic Abuse Bill, as amended by in public bill committee, UK parliament, 2021, art. 19, see at: https://publications.parliament.uk/pa/-bills/cbill/58-01/0141/HCB141%20Domestic%20Abuse%20compare.pdf

[37] Ibid. art. 20.

[38] Ibid. art. 23.

[39] Ibid. art. 23-30.

შეიძლება: ა) აეკრძალოს ნებისმიერი ქცევა, რაც აღწერილია ორდერით; ბ) ან დაევალოს ნებისმიერი ქცევა, რაც აღწერილია ორდერით.[40]

არამხოლოდ კანონმდებლობით, არამედ სხვა დამატებითი პოლიტიკებითაც გამოირჩევა ახალი ზელანდია. 2013 წელს კანონმდებლობაში ოჯახში ძალადობის განმარტების შესწორება შევიდა, რომლითაც ეკონომიკური ძალადობა განისაზღვრა, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა. ეკონომიკურ ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანობისათვის, ცვლილებები შევიდა სხვა საკანონმდებლო აქტებშიც. 1995 წლის კანონს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ დაემატა ფსიქოლოგიური ძალადობის გაფართოებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებია: 1. დაშინება; 2. შევიწროება; 3. ქონების დაზიანება; 4. ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მუქარა; (4ა) ფინანსური ან ეკონომიკური ძალადობა (მაგალითად, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან წართმევა, ან დასაქმებასა ან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან წართმევა); 5. მესამე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ბავშვის მიმართ.[41]

საინტერესოა, რომ ახალი ზელანდია კანონითაც ახდენს ოჯახში ძალადობის ბუნების სისტემატიზაციას. ოჯახში ძალადობის კანონის მესამე მუხლის მეოთხე ნაწილი განსაზღვრავს, რომ ოჯახში ძალადობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც ერთჯერადი ქმედებით, ასევე – მრავალჯერადად ჩადენილი ისეთი აქტებით, რომელიც, ერთი შეხედვით, მცირე მნიშვნელობისაა და ტრივიალურია.[42] ძალიან მნისვნელოვანია ამ ჩანაწერის არსებობა, რადგან პრაქტიკაში სამართალდამცველებს ხშირად უჭირთ ერთიანობაში წარმოიდგინონ ის გარემო, სადაც ცხოვრობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ხოლო თითოეული ცალკე აღებული ინციდენტი შესაძლოა არც აღწევდეს სიმძიმის გარკვეულ ზღვარს.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემას პოლიციისა და სასამართლოს მიერ. დამცავი ორდერებში ცალკეა გამოყოფილი რეგულაციები ისეთ დამცავ ორდერებზე, რომელიც ეხება ქონებას, საცხოვრებელს და ავეჯსაც კი, და განსაზღვრავს მათი მოხმარების დარეგულირების შესაძლებლობას დამცავი ორდერის ფარგლებში.[43]

---

[40] Ibid. art. 24.

[41] Domestic Violence Act, art. 3., 1995, see at: https://www.legislation.govt.nz/act/public/1995/0086/latest/DLM371926.html

[42] Ibid. art. 3(4).

[43] Ibid. art. 52–75.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, ოჯახში ძალადობის კანონის გარდა, სხვა რეგულაციებსაც შეეხო. კერძოდ, აიკრძალა ოჯახში ძალადობის ნიშნით პირის დისკრიმინაცია (ადამიანის უფლებათა აქტი 1993), მათ შორის სამუშო ადგილზეც. დამატებით, დამსაქმებელს დაევალა, ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მოქნილი სამუშაო პირობებით (სამუშაო ურთიერთობების აქტი 2000); ასევე, შესაძლებელია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა აიღოს სპეციალური შვებულება (დასვენების დღეების აქტი 2013); ხოლო დამსაქმებელს დაევალა ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უპასუხებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მძიმე მდგომარეობას (ჯანმრთელობისა და სამუშაოზე უსაფრთხოების აქტი 2015).[44]

ამ თავში მიმოვიხილე ისეთი ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც უფრო სიღრმისეულად ცდილობს ჩაწვდეს ეკონომიკური ძალადობის არსს და შემოგვთავაზოს ქმედეითი ღონისძიებები. არსებობს სხვა ქვეყნებიც, სადაც ეკონომიკური ძალადობა უბრალოდ ნახსენები და განმარტებულია კანონში ზედაპირულად და ამ კვლევისთვის ნაკლებად საინტერესოა.

[44] Sandra Milne, Susan Maury and Dr Pauline Gulliver, Economic Abuse in New Zealand: Towards an understanding and response, 2018, p. 12-13., available at: https://goodshepherd.org.nz/wp-content/uploads/2019/10/Economic-Abuse-in-New-Zealand-GSNZ-2018.pdf

ეკონომიკური ძალადობა საქართველოში – კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006 წელს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ და მასში ცვლილებები არაერთხელ შევიდა. სწორედ აღნიშნული კანონი იყენებს ტერმინს „ეკონომიკური ძალადობა", უფრო მეტიც, მეორე მუხლი განსაზღვრავს, რომ ამ კანონის ერთ-ერთი მიზანია „ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ხელშეუხებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა".[45]

ამავე კანონის მესამე მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობას, სადაც მოიხსენიებს ეკონომიკურ ძალადობასაც, კერძოდ: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით", ხოლო მესამე პრიმა მუხლი განმარტავს ქალთა მიმართ ძალადობას შემდეგნაირად: „ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა". როგორც ტექსტიდან იკითხება, ეკონომიკური ზიანის მიყენება ითვლება ძალადობის ერთ-ერთ ფორმად.

კანონის მეოთხე მუხლი კი გვთავაზობს ტერმინთა განმარტებას, სადაც ეკონომიკური ძალადობა განმარტებულია შემდეგნაირად: „ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას". თუ წინა თავებში მიმოხილულ უცხო ქვეყნის კანონმდებლობებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართული კანონმდებლობა თანხვედრაშია უცხო ქვეყნების მიერ შემოთავაზებულ განმარტებებთან, თუმცა შემოიფარგლება ზოგადი განმარტებით და არ გვთავაზობს რაიმე კონკრეტულ მექანიზმებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რაც კანონის გამოყენებას ნაკლებეფექტურს ხდის.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული კანონი პოლიციელს ანიჭებას უფლებამოსილებას, საკუთარი ინიციატივით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, მათ შორის, ეკონომიკური ძალადობის დროსაც.[46] ასევე, კანონი განსაზღვრავს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაუქმების შესაძლებლობას საქმის სრულყოფილი შესწავლის შედეგად, თუ მხარეები შერიგდებიან და მიმართავენ სასამართლოს, ან პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ძალადობის საფრთხე ან თუ ეს ეწინააღმდეგება მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების ინტერესებს.[47]

---

[45] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2006, მუხლი 2 (1). იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=19

[46] იგივე, მუხლი 11(3).

[47] იგივე, მუხლები12(3), 13.

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს ოჯახში ძალადობის შესახებ, ის 2012 წელს იქნა მიღებული და მოიცავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.[48] როგორც ვხედავთ, აღნიშნული მოიცავს მხოლოდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას და არ ეხება ეკონომიკურ ძალადობას.

შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეკონომიკურ ძალადობაზე რეაგირების ერთადერთი მექანიზმია შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემა, სხვა ტიპის რეაგირების საშუალებას საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა. ამ მხრივ საინტერესოა შემაკავებელი ორდერების გაცემის სტატისტიკა ეკონომიკურ ძალადობაზე. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით ასე გამოიყურება 2020.01.01. – 2020.12.31 საანგარიშო პერიოდში:[49]

ოჯახში ძალადობის სახეები	შემაკავებელი ორდერების რაოდენობა
ფიზიკური	2587
ფსიქოლოგიური	9503
ეკონომიკური	214
სექსუალური	31
იძულება	87
უგულებელყოფა	67

[48] სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1999, მუხლი 1261. იხილეთ: https://matsne.gov-.ge/ka/document/view/16426?publication=235

[49]ოჯახში ძალადობის სახეები შემაკავებელი ორდერების მიხედვით, შსს, 2020. იხილეთ: https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf

როგორც ამ ცხრილიდან იკვეთება, სულ 2020 წელს პოლიციამ გამოსცა 12 489 შემაკავებელი ორდერი, სადაც 214 შემთხვევაში დაფიქსირდა ეკონომიკური ძალადობა, რაც შეადგენს 1.7%-ს. ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკური ძალადობა საქართველოში უხილავია. შესაძლებელია, პოლიცია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში აღარ იკვლევდეს ეკონომიკური ძალადობის არსებობას და სწორედ ამიტომ რჩებოდეს ის პოლიციელთა თვალთახედვის მიღმა. სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ძალადობის აღმოჩენისთვის საჭიროა უფრო დეტალური დეფინიციები ან სპეციალური კითხვარები, რითიც იხელმძღვანელებენ სპეციალისტები ეკონომიკური ძალადობის დასადგენად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკურ ძალადობის პრობლემას არ იკვლევს და არ სწავლობს სახელმწიფო და შესაბამისად, არ გვთავაზობს ანალიზს, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა კანონმდებლობის შემდეგი დახვეწა. იმისთვის, რომ დღის წესრიგში დადგეს ეკონომიკური ძალადობის გადაჭრის საკითხი, უპირველესად, აუცილებელია ამ პრობლემის შესწავლა საქართველოში.

დასკვნა და რეკომენდაციები

ეკონომიკური ძალადობა ადამიანის უფლებათა სფეროს განეკუთვნება, რომელსაც აქვს სამართლებრივი, ჯანდაცვის, განათლების განზომილება. ამ პრობლემის მოგვარებასაც, შესაბამისად, სჭირდება მულტისექტორული მიდგომა და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკების გატარება. ეკონომიკურ ძალადობასთან ბრძოლა არ არის მხოლოდ კანონის და სამართლადამცავთა კომპეტენცია, ამ პრობლემის დაძლევაში დიდი როლი ენიჭება სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობას, მათ შორის – სოციალური სამსახურის, ფსიქოლოგების, კონსულტანტების, სერვისის მიმწოდებლების და დამსაქმებლების. ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური სექტორის ჩართულობაც, რათა არ ხორციელდებოდეს ეკონომიკური ძალადობა სხვადასხვა (მათ შორის, სახელმწიფო, ბავშვზე ზუნვის, საბანკო) სისტემების გამოყენების გზით.

ეკონომიკური ძალდობის აღმოსაჩენად უნდა მუშაობდნენ არა მარტო სახელმწიფოს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები და გამომძიებლები, არამედ – ფინანსური მრჩევლებიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხში კერძო სექტორის როლიც, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხერპლებისათვის სესხსა და კრედიტზე, გადახდის გადავადებაზე, ვალის ტრანსფერზე ხელმისაწვდომიბის გაზრდით.[50]

მრავალფეროვანი სტარტეგიების მოფიქრებასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პრობლემაზე მუშაობა გულისხმობს გრძელვადიანი გადაწყვეტების მოფიქრებას. მნიშვნელოვანია კონკრეტული სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შემუშავება სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩრთულობით. აღნიშნული სამოქმედო გეგმა, შესაძლოა, მოიცავდეს საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას, როგორც ძალადობის აღკვეთის, ისე – უთანასწორო ანაზღაურების აღმოფხვრის მიმართულებით. სასურველია საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული კანონმდებლობის მიღება და დანერგვაც. ამასთან, საჭიროა კვლევების განხორციელება და ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. აქცენტი აქაც, როგორც ძალადობის სხვა ფორმებზე, უნდა გაკედეს პრევენციაზე. პირველ რიგში კი, აუცილებელია, შევისწავლოთ ლოკალურად ეკონომიკური ძალადობის პრობლემა, გავრცელება და ხასიათი, რათა კვლევაზე დაფუძნებით შემუშავდეს სპეციალური პროგრამები და პოლიტიკები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ძალადობის მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი უთანასწორობაა, რის აღმოფხვრაზეც სახელმწიფომ უნდა იმუშაოს გრძელ ვადაში. უთანასწორობის აღმოფხვრა უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოში.

ვინაიდან ეკონომიკური ძალადობა გრძელვადიან და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს როგორც ქალებს, ასევე – მათ შვილებს, აუცილებელია, საქართველომ დაიწყოს ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და მტკიცებულებებზე დაყრდნობილი პოლიტიკის შემუშავება.

---

[50] UNSW Australia, Responding to economic abuse, pp. 2–3, available at: https://d2rn9gno7zhxqg.cloudfront.net/wp-content/uploads/2019/01/19030609/Issues_paper_2__Responding_to_economic_abuse.pdf

ბიბლიოგრაფია

Dan Anderberg and Helmut Rainer, Economic Abuse: A Theory of Intrahousehold Sabotage, 6 September 2012,

NCADV, Economic Abuse, see at: http://www.mmgconnect.com/projects/userfiles/-file/dce-stop_now/ncadv_economic_abuse_fact_sheet.pdf

Berkley Economic Review, Economic Abuse, April 2, 2019, see at: https://econreview.berkeley.edu/economic-abuse/

Domestic Violence against Women and Girls, UNICEF, Innocenti Research Center, No . 6 – J u n e 2 0 0 0, p. 8, available at: https://www.unicef-irc.org/publications/213-domestic-violence-against-women-and-girls.html

Sarah Davidge and Lizzie Magnusson, The Economics of Abuse, Women's Aid 2019, see at: https://1q7dqy2un-or827bqjls0c4rn-wpengine.netdna-ssl.com/wp-content/uploads/2019/12/Economics-of-Abuse-Report-2019.pdf

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, ევროპის საბჭო, 2011, იხილეთ: https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

Explanatory Reporton to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series – No. 210, 2011, see at: https://rm.coe.int/16800d383a

Sandra Milne, Susan Maury and Dr Pauline Gulliver, Economic Abuse in New Zealand: Towards an understanding and response, 2018, see at: https://goodshepherd.org.nz/wp-content/uploads/2019/10/Economic-Abuse-in-New-Zealand-GSNZ-2018.pdf

CEDAW Recommendation 19, 1992, UN, see at: https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/INT_CEDAW_GEC_3731_E.pdf

CEDAW Recommendation 35, 2017, UN, see at: https://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx-?enc=6QkG1d%2fPPRiCAqhKb7yhsldCrOlUTvLRFDjh6%2fx1pWAeqJn4T68N1uqnZjLbtFua2OBKh3UEqlB%2fCyQIg86A6bUD6S2nt0li%2bndbh67tt1%2bO99yEEGWYpmnzM8vDxmwt

Protocol to the African Charter on Human and People's Rights on the Rights of Women in Africa, 2003, see at: https://www.ohchr.org/Documents/Issues/Women/WG/ProtocolontheRightsofWomen.pdf

Anjani Kant, "Women and the Law", 2008, see at: https://books.google.ge/books?id=Z-5nkRZXjPMC&pg=PA338&lpg=PA338&dq=stridhan+definition&source=bl&ots=OHZDxuWQhL&sig=ACfU3U1PcJODRGs_jrO-KAeTFGS7YoyjoA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiG_6mEzfjxAhUHGewKHVn9C1cQ6AEwD3oECA0QAw№v=onepage&q=stridhan%20definition&f=false

Glossary of definitions of rape, femicide and intimate partner violence, EIGE, 2017, see at: https://eige.europa.eu/publications/glossary-definitions-rape-femicide-and-intimate-partner-violence

Adrienne E. Adams, Cris M. Sullivan, Deborah Bybee and Megan R. Greeson, Development of the Scale of Economic Abuse, see at: https://vaw.msu.edu/wp-content/uploads/2013/10/Scale-of-Economic-Abuse.pdf

Francesca Bettio and Elisa Ticci, Violence Against Women and Economic Independence, 2017, see at: https://www.ugt-fica.org/images/violence-report-web.pdf

Handbook for Legislation on Violence against Women, UN Women, 2012, see at: https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2012/12/unw_legislation-handbook%20pdf.pdf?la=en&vs=1502

The Protection of Women from Domestic Violence Act, 2005, see at: https://upload.indiacode.nic.in/showfile?actid=AC_CEN_13_14_00008_200543_1517807325788&type=rule&filename=17-Oct-2006%20Rules%20Ext.pdf

Maria da Penha Law, Law no 11.340, Special Secretariat for Women's Policies Presidency of the Republic of Brazil, 2006, see at: https://evaw-global-database.unwomen.org/-/media/files/un%20-women/vaw/full%20text/americas/brazil%20-%20maria%20da%20penha%20law%20(2006).pdf?vs=2408

Domestic Abuse Bill, as amended by in public bill committee, UK parliament, 2021, See at: https://publications.parliament.uk/pa/bills/cbill/58-01/0141/HCB141%20Domestic%20Abuse%20compare.pdf

Written evidence submitted by Surviving Economic Abuse (DAB70), 2020, Para 20. see at: https://publications.parliament.uk/pa/cm5801/cmpublic/DomesticAbuse/memo/DAB70.pdf

Domestic Violence Act, 1995, see at: https://www.legislation.govt.nz/act/public/1995/0086/latest/DLM371926.html

Corrie, T. and McGuire, M. Economic Abuse: Searching for Solutions (Good Shepherd Youth & Family Service and Kildonan UnitingCare, 2013), see at: https://www.goodshep.org.au/media/1223/economic-abuse_final-report.pdf

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 2006, იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=19

სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1999, იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=235

ოჯახში ძალადობის სახეები შემაკავებელი ორდერების მიხედვით, შსს, 2020. იხილეთ: https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf

UNSW Australia, Responding to economic abuse, see at: https://d2rn9gno7zhxqg.cloudfront.net/wp-content/uploads/2019/01/19030609/Issues_paper_2__Responding_to_economic_abuse.pdf

კვლევა მომზადდა Human Rights House Foundation მხარდაჭერით

© საფარი 2021

Საფარი
Sapari

HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION